პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ
(2014 წლის 21-22 ოქტომბერი)

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014 წლის 21-22 ოქტომბერს, სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშს. ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტში მონაწილე ექსპერტების ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. წინამდებარე ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია.

სასჯელაღსრულების N2 დაწესებულება წარმოადგენს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას. დაწესებულება განკუთვნილია 1840 პატიმარის განთავსებისთვის. ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 1516 პატიმარი, მათ შორის 8 ქალი და 4 არასრულწლოვანი პატიმარი. 57 მსჯავრდებული (3.7%) დასაქმებული იყო სამეურნეო ნაწილში.

2. არასათანადო მოპყრობა

ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრებს პატიმრებისაგან არ მიუღია ინფორმაცია სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ფიზიკურ ძალადობის შემთხვევების შესახებ, თუმცა 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა ამავე დაწესებულებაში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების გამოძიების შესახებ წინადადებით საქართველოს მთავარ პროკურორს 3 შემთხვევაში მიმართა. ვიზიტის დროს მხოლოდ ერთმა პატიმარმა, რომელიც N2 დაწესებულებაში გადმოყვანილი იყო N8 დაწესებულებიდან, განაცხადა, რომ 2014 წლის 27 სექტემბერს N8 დაწესებულებაში ის დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლებმა სცემეს. მისი განმარტებით, ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, მან სამედიცინო პერსონალს განუცხადა, რომ დაზიანებები სხეულზე თვითონ მიიყენა. პატიმარმა უარი განაცხადა აღნიშნული ინფორმაციის საგამოძიებო ორგანოსათვის გადაგზავნაზე.

3. უსაფრთხოება

ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკას.

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ

საშუალებას სწორედ ე.წ. „დინამიური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. ციხეში ინციდენტების მართვის გაეროს სახელმძღვანელოს თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.[1]

ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გაგზავნილი ტელეფონოგრამების აღრიცხვის ჟურნალები. დადგინდა, რომ 2014 წლის იანვრიდან 22 ოქტომბრამდე გაიგზავნა 396 შეტყობინება პატიმართა მხრიდან თვითდაზიანების მიყენების შესახებ, 182 შეტყობინება დაწესებულებაში დაზიანებებით შესახლების თაობაზე, ასევე სუიციდის მცდელობის 50 შემთხვევის შესახებ. სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, ასევე დადგინდა, რომ ხშირად ხდება საკნებში, მსჯავრდებულებს შორის ფიზიკური დაპირისპირება.

პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

სამწუხაროდ, პრევენციის ეროვნული მექანიზმი მოკლებულია შესაძლებლობას სრულყოფილად შეისწავლოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელების პრაქტიკა, ვინაიდან ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა, ხოლო ნებისმიერი ოპერატიული ინფორმაცია, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს ასეთ გადაწყვეტილებას პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ხელმიუწვდომელია. მიუხედავად ამისა, ერთი მხრივ, ელექტრონული

[1] United Nations, Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22.

საშუალებით მეთვალყურეობის მომეტებული პრაქტიკა და მეორე მხრივ, გადაწყვეტილების შაბლონური ხასიათი წარმოშობს ლეგიტიმურ ეჭვს აღნიშნული ზომის პროპორციულობასთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილია 21 საკანი, აქედან 3 საკანი სამედიცინო ნაწილშია. უსაფრთხოების მიზნით იზოლირებული, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პატიმრები ძირითადად განთავსებული არიან C კორპუსის მეოთხე სართულზე. მონიტორინგის ჯგუფმა ვერ მიიღო დამაჯერებელი პასუხი, თუ როგორ იგეგმებოდა ამ პატიმრებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

პატიმრობის კოდექსის 57[1]-ე მუხლის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი, დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი, სასამსახურო ძაღლი.[2]

მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში სპეციალური საშუალებებიდან მხოლოდ ხელბორკილის გამოყენება ხდება. დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსის განცხადებით, დაწესებულებაში სხვა სპეციალური საშუალება არ გააჩნიათ. აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების თანამშრომელთა განმარტებით, ხელბორკილის გამოყენება (2 საათამდე ვადით) ხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც თვითდაზიანების ან სხვათა ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით ხდება პირის საკანში მარტო მოთავსება. მიგვაჩნია, რომ ასეთი ზომების მიღება მისაღწევი მიზნის არაპროპორციულია და გაუმართლებელია. ამასთან, მნიშვნელოვანია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მიიღოს ყველა სათანადო ზომა, რათა ხელბორკილის გამოყენება რუტინულ პრაქტიკად არ იქცეს.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. უზრუნველყოს სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების თანამშრომლების გრძელვადიანი პროფესიული სწავლება, ამასთან, უზრუნველყოს უფლებამოსილებათა ფარგლების, არასათანადო მოპყრობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, გადამეტების ან სამსახურებრივი გულგრილობისთვის მოსალოდნელი სასჯელის, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ მათი სათანადო ინფორმირება.

2. შესაბამისი ბრძანებით განსაზღვროს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა და უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დაუბრკოლებელი დაშვება ასეთ ჩანაწერებზე.

[2] ეს რედაქციაც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს.

3. მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტიანია და იმ ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ამასთან უზრუნველყოფილი იქნას ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება.

4. შეისწავლოს სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მუშაობის პრაქტიკა და მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დაწესებულების თანამშრომელთა სათანადო სწავლებისა და ძალადობის რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების შესაძლებლობის გაძლიერების გზით.

5. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პატიმართა შორის ძალადობის, ასევე პატიმართა მიერ სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მოხდეს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა.

6. მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ხელბორკილის გამოყენება არ იქცეს რუტინულ პრაქტიკად.

7. მიიღოს შესაბამისი ზომები დინამიური უსაფრთხოების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველსაყოფად.

4. პატიმრობის პირობები

4.1. ფიზიკური გარემო

საკარანტინო ნაწილში განლაგებულია 8 საკანი და საშხაპე. საშხაპეში შეყვანილია ცენტრალური გათბობისა და ვენტილაციის სისტემა. საკნებში პირობები ზოგადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა ერთ პატიმრისთვის განკუთვნილი სივრცე 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია. ყველა საკანი თითქმის იდენტურია (თითოეული საკნის ფართობი დაახლოებით 15.3 კვ.მ.-ს შეადგენს) და განკუთვნილია ექვსი პატიმრის განსათავსებლად. უმეტეს საკნებში 4-5 პატიმარი იყო მოთავსებული. საკნებში დღის სინათლე კარგად შედის, ხელოვნური განათებაც დამაკმაყოფილებელია, სავენტილაციო სისტემა გამართულად მუშაობს. საკანში დგას ორ იარუსიანი რკინის საწოლები, ინდივიდუალური კარადები, მაგიდა და სკამები. საკანში ცალკე არის გამოყოფილი სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი. საკნებში შეყვანილია ცენტრალური გათბობა.

საცხოვრებელ კორპუსებში, საკნებში ერთი პატიმრისთვის განკუთვნილი სივრცე 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია. საკნებში დღის სინათლე კარგად შედის, ხელოვნური განათებაც დამაკმაყოფილებელია, სავენტილაციო სისტემა გაუმართავია, მხოლოდ გამწოვი მუშაობს საპირფარეშოში. საკნებში დგას ორ იარუსიანი საწოლები, ინდივიდუალური კარადები, მაგიდა და სკამები. პატიმრებს საკანში აქვთ ტელევიზორი. საკანში არის ცალკე გამოყოფილი სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი. კვირაში ორჯერ სარგებლობენ საშხაპეთი.

ვიზიტის მიმდინარეობის დროს განხორციელდა სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში ქალ პატიმართათვის განკუთვნილი განყოფილების (E კორპუსი) ფიზიკური გარემოს შემოწმება. განყოფილებაში არის ოთხი საკანი, თითოეული განკუთვნილი 6 პატიმრის განსათავსებლად. საკნის იატაკი ბეტონისაა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. უზრუნველყოფილია მუდმივი წყალმომარაგება. საკანში ცალკე არის გამოყოფილი სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი. ქალ პატიმრებს შეუძლიათ მიიღონ შხაპი კვირაში სამჯერ, ხოლო ზაფხულის პერიოდში - ყოველდღიურად. ქალ პატიმრებს საკანში აქვთ ტელევიზორი და რადიო. ვიზიტის დროს ორ საკანში სულ განთავსებული იყო რვა ბრალდებული ქალი. დაწესებულებაში არსებობს ქალი პატიმრების პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის პრობლემა.

სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების არასრულწლოვან პატიმართა განყოფილებაში არის 5 საკანი, 2 საკლასო ოთახი, 1 სავარჯიშო დარბაზი, ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის ერთი სამუშაო ოთახი (ერთობლივი) და ერთი საშხაპე. ვიზიტის დროს განყოფილებაში 4 არასრულწლოვანი პატიმარი იმყოფებოდა, აქედან 2 ბრალდებული და 2 მსჯავრდებული.

თითოეულ საკანში არის 2 ორ იარუსიანი საწოლი, 1 რკინის მაგიდა და 2 რკინის სკამი საზურგის გარეშე, საკანში აქვთ ტელევიზორი და რადიო. საკნის იატაკი ბეტონისაა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. უზრუნველყოფილია მუდმივი წყალმომარაგება. საკანში ცალკე არის გამოყოფილი სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი. არასრულწლოვან პატიმრებს შეუძლიათ მიიღონ შხაპი კვირაში სამჯერ, ხოლო ზაფხულის პერიოდში - ყოველდღიურად. თეთრეულით უზრუნველყოფა ხდება ოჯახის მიერ.

სამარტოო საკნების ფართობი, გარდა D კორპუსში არსებული სამარტოო საკნებისა, შეადგენს 4,5-5,5 კვადრატულ მეტრს. საკანში არის საწოლი (ფიცარნაგი), სკამი და მაგიდა. საკნებში შეყვანილია ცენტრალური გათბობის სისტემა. არის ვენტილაციის სისტემა. განათება დამაკმაყოფილებელია. საკანში საპირფარეშო ნაწილობრივ გამოყოფილია, საკანში არსებულ სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. საკანში არის სივიწროვე. ზოგიერთ საკანში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. აღსანიშნავია, რომ D კორპუსში არსებული 16 სამარტოო საკნის ფართობი შეადგენს 11 კვადრატულ მეტრს და შესაბამისად, საკანში პირობები შედარებით უკეთესია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს სამარტოო საკნები გამოიყენება მხოლოდ D კორპუსში განთავსებული პატიმრების მოსათავსებლად. მონიტორინგის ჯგუფს მიაჩნია, რომ ვინაიდან დაწესებულების სხვა კორპუსებში არსებული სამარტოო საკნებში არსებული პირობები არადამაკმაყოფილებელია, შესაძლებელია დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების ყველა შემთხვევაში გამოყენებულ იქნას მხოლოდ D კორპუსში არსებული სამარტოო საკნები.

სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების დირექტორს:

1. ქალი პატიმრები უზრუნველყოს პირადი ჰიგიენის დაცვისთვის საჭირო ყველა საშუალებით.

2. სამარტოო საკნებში შეიქმნას ადამიანის ღირსებასთან თავსებადი პირობები, დროებით კი, დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსება განხორციელდეს მხოლოდ D კორპუსში არსებულ სამარტოო საკნებში.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

1. თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილ იქნას 4 კვადრატული მეტრის ფართით.

2. დაწესებულების ყველა კორპუსში უზრუნველყოფილ იქნას სათანადო ვენტილაცია.

4.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

A კორპუსს აქვს 24 სასეირნო ეზო (18 კვ.მ.), C კორპუსს - 15 ეზო (18 კვ.მ.), D კორპუსს - 36 ეზო (23 კვ.მ.). სასეირნო ეზოები ზემოდან ნაწილობრივ გადახურულია, შიგნით დგას ხის გრძელი სკამები და ურნები, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. პატიმრები ყოველდღიურად ერთი საათის ხანგრძლივობით იმყოფებიან სუფთა ჰაერზე. არასრულწლოვან პატიმრებს შეუძლიათ ივარჯიშონ ყოველდღიურად.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების დირექტორს:

მიიღოს ყველა ზომა, რათა შესაძლებელი გახდეს ყველა პატიმრის ყოფნა სუფთა ჰაერზე დღის განმავლობაში ერთ საათზე მეტი ხნით.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

დაწესებულებაში შეიქმნას სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო პირობები.

დაწესებულების სოციალური განყოფილებაში ირიცხება 9 სოციალური მუშაკი, 2 ფსიქოლოგი და 1 იურისტი. სოციალური განყოფილების მიერ შემუშავებულია კითხვარი პატიმართა საჭიროებების გამოსავლენად. სოციალური განყოფილების თანამშრომელთა განმარტებით, პრობლემას წარმოადგენს თარჯიმნების არარსებობა, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელია ზოგიერთ იმ პატიმრებთან გასაუბრება, რომლებიც ვერ მეტყველებს ქართულ ენაზე. დაწესებულების სოციალური განყოფილების თანამშრომლებს ხელი საკანონმდებლო ელექტრონულ ბაზაზეც კი არ მიუწვდებათ.

განყოფილებაში დასაქმებულია 2 ფსიქოლოგი. ფსიქოლოგებს სამუშაო პირობები არ აქვთ შექმნილი. ფსიქოლოგს პატიმრებთან გასაუბრება ძირითადად უწევს ბიბლიოთეკაში ან საგამოძიებო ოთახში, სადაც ვერ ხერხდება პატიმრებისათვის მყუდრო გარემოს შექმნა. ორ

ფსიქოლოგს აქვთ ინდივიდუალური მაგიდები, თუმცა გამოყოფილი აქვთ მხოლოდ 1 კომპიუტერი. ფსიქოლოგის სამუშაო დროის დიდი ნაწილი პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურის ფარგლებში დახასიათებების მომზადებისთვის არის დათმობილი, რაც უარყოფითად აისახება ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესზე.

დაწესებულებაში სარეაბილიტაციო კუთხით მუშაობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია. სარეაბილიტაციო პროგრამა ხორციელდება 15-20 კაციანი ჯგუფებისათვის. მონაწილეების შერჩევა ხდება მათი სურვილის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ არანაირი კურსი არ ჩატარებულია დაწესებულებაში მყოფი უმცირესობებისთვის.

არასრულწლოვანთა დღის განრიგში შედის ასევე ყოველდღიური ვარჯიში (სურვილისამებრ) და საგანმანათლებლო აქტივობები. თითოეულ პატიმარს ყოველდღიურად ხვდება როგორც სოციალური მუშაკი, ასევე ფსიქოლოგი, რომლებიც ადგენენ ინდივიდუალურ გეგმას. ასევე, დაწესებულებაში კვირაში ოთხჯერ დადის 2 პედაგოგი, რომლებიც არასრულწლოვან პატიმრებს უტარებენ გაკვეთილებს ტექნიკურ და ჰუმანიტარულ საგნებში. სოციალური მუშაკის განმარტებით, გაკვეთილებზე დასწრების აქტივობა ძალიან დაბალია. მინიმალურია ასევე რესოციალიზაციის ფარგლებში არტ-თერაპიით დაინტერესება.

დაწესებულებაში ჩატარებული აქტივობების შესახებ მონაცემები, იხილეთ ქვემო, ცხრილში.

N	თვე	აქტივობა	მონაწილეთა რაოდენობა
1.	**იანვარი**	1. ლექცია თემაზე: "უილიამ შექსპირის ავტორობის პრობლემა და შემოქმედების ზოგადი ანალიზი"	13
		სპორტული ღონისძიება - მაგიდის ჩოგბურთი	8
2.	**თებერვალი**	სახელობო განათლება, ხეზე კვეთა	13
		არტ-თერაპია	17 (არასრულწ.)
		კონკურსი - საუკეთესო 5 თხზულება	6
		საგალობლების შესწავლა	12
		ინგლისური ენა	9
		პროექტი "ფსიქოლოგიური საუბრები გისოსებს მიღმა"	7
		ტრენინგი იურიდიული საკითხების შესახებ	7
		მაგიდის ჩოგბურთი	15
3.	**მარტი**	სახელობო განათლება, ხეზე კვეთა	13
		არტ-თერაპია	17 (არასრულწ.)
		კონკურსი - საუკეთესო 5 თხზულება	8
		ინგლისური ენა	10

		პროექტი “ფსიქოლოგიური საუბრები გისოსებს მიღმა”	8
		ინტელექტუალური თამაში - რა? სად? როდის?	24
4.	**აპრილი**	სახელობო განათლება, ხეზე კვეთა	13
		არტ-თერაპია	10 (არასრულწ.)
		კონკურსი - საუკეთესო 5 თხზულება	8
		საგალობლების შესწავლა	12
		ინგლისური ენა (პროგრამა დასრულდა)	10
		პროექტი “ფსიქოლოგიური საუბრები გისოსებს მიღმა”	8
5.	**მაისი**	სახელობო განათლება, ხეზე კვეთა	10
		არტ-თერაპია	6 (არასრულწ.)
		კონკურსი - საუკეთესო 5 თხზულება	6
		საგალობლების შესწავლა	12
		ინგლისური ენა (ახალი ჯგუფი)	8
		პროექტი “ფსიქოლოგიური საუბრები გისოსებს მიღმა”	7
6.	**ივნისი**	სახელობო განათლება, ხეზე კვეთა	10
		არტ-თერაპია	4 (არასრულწ.)
		ინგლისური ენა	7
		ტრენინგი იურიდიული საკითხების შესახებ	7
		მაგიდის ჩოგბურთი	14
7.	**ივლისი**	სახელობო განათლება, ხეზე კვეთა	10
		არტ-თერაპია	4 (არასრულწ.)
		ინგლისური ენა	10
		პროექტი “ფსიქოლოგიური საუბრები გისოსებს მიღმა”	4
		მაგიდის ჩოგბურთი	6
		ჭადრაკის ტურნირი	10
8.	**აგვისტო**	არტ-თერაპია	6 (არასრულწ.)
		მაგიდის ჩოგბურთი	6
9.	**სექტემბერი**	სახელობო განათლება, ხეზე კვეთა	9
		არტ-თერაპია	3
		სასტუმროს საქმის მწარმოებლის პროფესიის შესწავლა	14

ცხრილში მოცემული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობაში პატიმართა ჩართულობა ძალიან დაბალია (ძირითადად სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული პატიმრები მონაწილეობენ). ასევე უნდა

აღინიშნოს, რომ სარეაბილიტაციო აქტივობებიც არ არის მრავალფეროვანი. სპორტული ღონისძიებების სიხშირე და მრავალფეროვნებაც არადამაკმაყოფილებელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოხდეს პატიმართათვის საინტერესო აქტივობების შეთავაზება და ამ აქტივობებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უფრო ხშირად იქნას გამოყენებული წახალისების ფორმები. ამასთან, აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას ქალთა და არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის თავისებურებანი.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების დირექტორს:

1. მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას დაგეგმოს და პატიმრების მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები. ასეთი ღონისძიებების დაგეგმვისას გაითვალისწინოს პატიმართა ინტერესის სფეროები. უზრუნველყოფილ იქნას შეთავაზებული აქტივობების მრავალფეროვნება.

2. დაწესებულების სოციალურ განყოფილებაში დასაქმებულ ფსიქოლოგებს შეუქმნას სათანადო სამუშაო პირობები.

3. სარეაბილიტაციო აქტივობებში პატიმართა მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უფრო ხშირად გამოიყენოს წახალისების ფორმები, მათ შორის, დამატებითი ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემის სახით.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების სოციალურ განყოფილების საშტატო ნუსხას დაემატოს ფსიქოლოგის ერთი საშტატო ერთეული.

2. პატიმრები, რომლებიც ვერ საუბრობენ ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნან თარჯიმნის მომსახურებით.

3. მიიღოს ყველა საჭირო ზომა სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების სოციალური განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველსაყოფად, რათა დაწესებულებაში გაძლიერდეს სარეაბილიტაციო აქტივობები.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სამედიცინო პერსონალის როლი

ჯანმრთელობის უფლება არის ინკლუზიური უფლება[3] და თავის თავში მოიცავს უსაფრთხო სასმელ წყალს და ადეკვატურ სანიტარიულ პირობებს, უვნებელ სურსათს, ადეკვატურ კვებას და

[3] Right to Health, Fact Sheet No. 31, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights and World Health Organization, available at http://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf [last visit on 31.05.2014]

საცხოვრებელ პირობებს, ჯანსაღ სამუშაო და გარემო პირობებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განათლებას და ინფორმაციას, გენდერულ თანასწორობას.

ჯანმრთელობის უფლება ასევე მოიცავს პირის უფლებას არ დაექვემდებაროს სამედიცინო მანიპულაციას მისი თანხმობის გარეშე და წამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. ჯანმრთელობის უფლების შინაარსიდან გამომდინარე, პირს უნდა მიუწვდებოდეს ხელი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე; დაავადებათა პრევენციაზე, მკურნალობასა და კონტროლზე; მედიკამენტებზე; რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე; ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე (თანაბრად და დროულად); ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და განათლებაზე. ჯანდაცვის სისტემის სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მისაღები და ხარისხიანი.[4]

5.1. კვება და სასმელი წყალი

ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა სამზარეულოში არსებული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის ვადა. დარღვევა აღმოჩენილი არ ყოფილა. საკვების ხარისხთან დაკავშირებით, პატიმრებს არ გამოუთქვამთ არსებითი ხასიათის პრეტენზიები, გარდა იმისა, რომ ზოგიერთი პატიმარის განცხადებით, საკვები ერთფეროვანია და მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ შესაძლებლობა დამატებით შეიძინონ საკვები პროდუქტი. პატიმრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს დაწესებულების მაღაზიაში არსებული პროდუქციის სიმწირით. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ადგილზე გადაამოწმეს მაღაზიაში არსებული პროდუქციის მრავალფეროვნება და აღმოჩნდა, რომ დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება არ ხდებოდა. დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით მომარაგებას ახორციელებს კომპანია „ჯი ემ ემ“.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

შეისწავლოს სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში არსებული მაღაზიის მოთხოვნადი პროდუქციით მომარაგების საკითხი და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება.

5.2. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა

დაწესებულებაში არსებულ სამედიცინო ნაწილში არის 10 პალატა, სადაც შესაძლებელია 34 პაციენტის განთავსება. ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებაში მოთავსებული იყო 25 პაციენტი. სამედიცინო ნაწილში ფუნქციონირებს მცირე ქირურგიული სამანიპულაციო. დაწესებულების სამედიცინო და დამხმარე პერსონალის შემადგენლობაში შედის მთავარი ექიმი,

[4] General comment N° 14 (2000) on the right to health, adopted by the Committee on Economic, Social and Cultural Rights.

3 პირველადი ჯანდაცვის ექიმი, 5 მორიგე ექიმი, 1 მოშიმშილე პატიმართა დღის ექიმი, 1 სტომატოლოგი, 8 ექთანი, 1 ფარმაცევტი. პირველადი ჯანდაცვის ექიმები დაწესებულებაში იმყოფებიან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, დღის საათებში. მორიგე ექიმებს მორიგეობა უწვეთ ოთხ დღეში ერთხელ. დაწესებულებაში მუდმივად იმყოფება 1 მორიგე ექიმი. დაწესებულებას დღის საათებში ემსახურება 4 ექთანი, ხოლო ღამის საათებში - 2 ექთანი.

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა შეამოწმა სამედიცინო დოკუმენტაცია. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ არ ხდება მოწვეულ ექიმ სპეციალისტთა მიერ ჩატარებული კონსულტაციების სათანადო აღრიცხვა. ასევე ხშირ შემთხვევაში არ ხდება ექიმ სპეციალისტთან კონსულტაციაზე პატიმრის ჩაწერის თარიღის მითითება და შესაბამისად, შეუძლებელია მოლოდინის ხანგრძლივობის დადგენა.

რიგ შემთხვევებში აშკარაა სამედიცინო მომსახურების დაყოვნება. ასე მაგალითად, ერთ-ერთ პაციენტს მარცხენა წვივის ძვალზე 2 თვეა უკეთია ელიზაროვის აპარატი დამსხვრეული ძვლების ფიქსირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული, 2014 წლის 1 სექტემბრით დათარიღებული ჩანაწერის თანახმად, რეკომენდირებული იყო 1 თვის შემდეგ ტრავმატოლოგის კონსულტაცია, პაციენტს კონსულტაცია 2 თვის შემდეგაც არ ჰქონდა ჩატარებული. ამავე პაციენტს ერთი კვირის წინ ჩატარებული ჰქონდა რენტგენოგრაფიული გამოკვლევა, თუმცა გამოკვლევის შედეგების შესახებ ის ინფორმირებული არ იყო.

დაწესებულებას ჰყავს ერთი სტომატოლოგი, რომელიც მუშაობს ყოველდღე და ემსახურება 25-30 პაციენტს. სტომატოლოგს ასისტენტი არ ჰყავს. სტომატოლოგის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ სტომატოლოგიური კაბინეტი მდებარეობს შენობის სამხრეთ ნაწილში და კაბინეტი არ არის აღჭურვილი კონდიცირების სისტემით, მსგავსი დატვირთვით მუშაობა, განსაკუთრებით კი ზაფხულის ცხელ პერიოდში, უკიდურეს დისკომფორტს უქმნის მას.

დაწესებულებაში არსებობს ექიმის ხელმისაწვდომობის პრობლემა, რაც უარყოფითად აისახება პატიმართათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე. პირველადი ჯანდაცვის ერთ ექიმზე მოდის 500-ზე[5] მეტი პატიმარი, ხოლო მთელ დაწესებულებას მხოლოდ ერთი მორიგე ექიმი ემსახურება. ასევე აშკარად არასაკმარისია ექთნების რაოდენობა. მონიტორინგის ჯგუფმა გამოავლინა პატიმართათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის ახლად დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც იმისათვის, რომ პატიმარმა მიიღოს საჭირო სამედიცინო მომსახურება, იგი წერს განცხადებას სამედიცინო მომსახურების საჭიროების შესახებ და გადასცემს დაწესებულების მორიგე კონტროლიორს. ამ უკანასკნელს დღის განმავლობაში შეგროვებული განცხადებები მიაქვს კანცელარიაში, საიდანაც განცხადებები, რეგისტრაციის შემდგომ, ეგზავნება დაწესებულების ექიმს. მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში მიაქვს მორიგე

[5] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის თანახმად, როგორც წესი, ერთ ექიმზე არ უნდა მოდიოდეს 300, ხოლო ერთ ექთანზე 50 პატიმარზე მეტი. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2007 წელს საბერძნეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარ. 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/documents/grc/2008-03-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია 14.12. 2014]

კონტროლიორს განცხადება კანცელარიაში დაუყოვნებლივ, თუმცა აქაც გაუგებარია, როგორ უნდა მოახდინოს სამედიცინო განათლების არმქონე მორიგე კონტროლიორმა შემთხვევის გადაუდებლობის განსაზღვრა. ზემოთ აღწერილი პროცედურა ქმნის დამატებით ბარიერს სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში, ამასთან არღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს და დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

ვიზიტის მიმდინარეობისას ასევე დადგინდა, რომ დაბალია პატიმართა ინფორმირებულობა სამედიცინო მომსახურების შესახებ. პატიმრებს ხშირ შემთხვევაში არ მიეწოდებათ ინფორმაცია სამედიცინო რეფერალის შესახებ, რაც ქმნის პატიმრებსა და სამედიცინო პერსონალს შორის დამატებით დაძაბულობას.

დაწესებულებაში არსებობს პრობლემები ქალთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. კერძოდ, დაწესებულებას არ ჰყავს გინეკოლოგი. გინეკოლოგის მოწვევა ხდება სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებიდან. მნიშვნელოვანია, დაწესებულებაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალს გავლილი უნდა ჰქონდეს მომზადება ქალთა ჯანმრთელობის საკითხებში.

მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ არსებობს გარკვეული შეფერხებები დაწესებულების მედიკამენტებით მომარაგების თვალსაზრისით. არ ჰქონდათ მედიკამენტების ნუსხაში მითითებული ზოგიერთი მედიკამენტი, მაგალითად, „ნო-შპა“, „ზინატი“.

დაწესებულებაში მოქმედებს სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომელშიც ვიზიტის განხორციელების მომენტისთვის ჩართული იყო მხოლოდ ერთი პატიმარი და ეს მაშინ, როდესაც მონიტორინგის ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია დაწესებულებაში სუიციდის მცდელობის 50 შემთხვევის შესახებ. აშკარაა, რომ სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში სუიციდის პრევენციისკენ მიმართული აქტივობები არასაკმარისია. პრობლემას წარმოადგენს ასევე ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდება.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. უზრუნველყოფილ იქნას სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში ექიმებისა და ექთნების სათანადო რაოდენობა.

2. დაწესებულებას დაემატოს სტომატოლოგის ერთი საშტატო ერთეული. სტომატოლოგი უზრუნველყოფილ იქნას ასისტენტით და შესაბამისი სამუშაო პირობებით.

3. აღმოიფხვრას პატიმრის მიერ წერილობითი განცხადებით სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის მანკიერი პრაქტიკა, პატიმრები უზრუნველყოფილ იქნან დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით, ასევე დაცული იქნას კონფიდენციალურობის პრინციპი.

4. ქალი პატიმრები უზრუნველყოფილ იქნან გენდერულად სპეციფიკური სამედიცინო მომსახურებით. დაწესებულების სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს სწავლება ქალთა

ჯანმრთელობის საკითხებზე.

5. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა მომავალში უზრუნველყოფილი იყოს მედიკამენტების ნუსხაში არსებული ყველა მედიკამენტით დაწესებულების დროული მომარაგება.

6. მიიღოს ყველა საჭირო ზომა სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოებისა და სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

7. უზრუნველყოფილ იქნას სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრებისათვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდება.

8. სუიციდის გახშირებული შემთხვევებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის, წამალდამოკიდებულების და ფსიქოტროპული მედიკამენტების ჭარბი მოხმარების პრობლემის გათვალისწინებით გაძლიერდეს სუიციდის პრევენციისკენ მიმართული ძალისხმევა.

5.3. დაზიანების დოკუმენტირება და შეტყობინება

ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა დაზიანების აღრიცხვის ჟურნალი. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაზიანების აღრიცხვის ჟურნალი სრულყოფილად არ იყო შევსებული. გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

1. ზოგიერთ შემთხვევაში დაზიანება სრულყოფილად არ არის აღწერილი;
2. რიგ შემთხვევებში არ არის მითითებული დაზიანების წარმოშობის მიზეზი;
3. უმეტესად არ არის პატიმრის ხელმოწერა;
4. რიგ შემთხვევებში დაზიანების ხასიათი და ლოკალიზაცია არ შეესაბამება დაზიანების წარმოშობის მიზეზის შესახებ არსებულ მითითებას.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

მიიღოს ყველა გონივრული ზომა, მათ შორის, შესაბამისი სწავლებისა და ინსტრუქციების მიცემის გზით, რათა სამედიცინო პერსონალმა მოახდინოს პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების სათანადო დოკუმენტირება.

6. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

ციხის ევროპული წესების თანახმად, დისციპლინური სახდელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.[6] ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის.[7] ნებისმიერი სახდელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების პროპორციული.[8] აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახველი სხვა სახდელები.[9] ამასთან, დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.[10]

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკას. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში (61,9 %), დისციპლინური სახდელის სახით გამოყენებული იყო სამარტოო საკანში მოთავსება, რომელიც პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. სახდელების გამოყენების შესახებ მონაცემები თვეების მიხედვით იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

N	თვე	სამარტოო საკანი	სხვა სახდელი	წახალისება
1.	იანვარი	7	1	0
2.	თებერვალი	4	5	1
3.	მარტი	10	2	0
4.	აპრილი	21	6	1
5.	მაისი	10	12	2
6.	ივნისი	7	9	4
7.	ივლისი	10	7	3
8.	აგვისტო	14	7	3
9.	სექტემბერი	18	14	22
		სულ: 101 (61,9 %)	**სულ: 62 (38,1 %)**	**სულ: 36**

სამარტოო საკანში მოთავსების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა, რომ პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადით, 20 დღით პატიმრის სამარტოო საკანში მოთავსება მოხდა 19 შემთხვევაში. სამარტოო საკნიდან პატიმარი ვადაზე ადრე 28 შემთხვევაში იქნა გათავისუფლებული, აქედან 21 შემთხვევაში ექიმის დასკვნის საფუძველზე. აქვე აღსანიშნავია, რომ 1 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრამდე შუალედში

[6] ევროპული ციხის წესები, წესი 56.1
[7] იქვე, წესი 56.2
[8] იქვე წესი 60.2
[9] იქვე წესი 60.3
[10] იქვე წესი 60.4

დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსება გამოყენებული იყო 9 შემთხვევაში, რაც ნაკლებია წინა თვის მონაცემზე (18 შემთხვევა).

სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების თანამშრომელთა მიერ დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების მზარდი პრაქტიკის სხვა დისციპლინური სახდელების არაეფექტიანობით ახსნა, ასევე სახდელების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში არსებობს დისციპლინური სახდელების პროპორციულობის პრინციპის დაცვით გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემა. ამასთან, ექიმის დასკვნის საფუძველზე სამარტოო საკნიდან მსჯავრდებულთა ვადაზე ადრე გათავისუფლების პრაქტიკა, ერთი მხრივ, ნათლად წარმოაჩენს, თუ რა უარყოფით ზეგავლენას ახდენს ამ სახდელის გამოყენება პატიმრის ჯანმრთელობაზე, ხოლო მეორე მხრივ, მიუთითებს პატიმართა მიმართ ზემოაღნიშნული დისციპლინური სახდელის აღსრულების პროცესში ექიმის მონაწილეობაზე, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს სამედიცინო პერსონალის რეპუტაციაზე და წინააღმდეგობაში მოვიდეს სამედიცინო პერსონალის პროფესიულ ეთიკასთან.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების დირექტორს:

დისციპლინური სახდელის დაკისრებისას იხელმძღვანელოს პროპორციულობის პრინციპით და სამარტოო საკანში მოთავსება გამოიყენოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

შეისწავლოს სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების მომეტებული პრაქტიკა და მიიღოს ყველა გონივრული ზომა დისციპლინური სახდელების პროპორციული გამოყენების უზრუნველსაყოფად.

7. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისათვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. კომიტეტის თანახმად „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.[11]

[11] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „სარეზოლუციო“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინის გამყოფი ბარიერის მიღმა. პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. ოჯახის წევრებთან პაემნის უფლების განხორციელებას ხელს უშლის პატიმართა განთავსების დროს ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა. დაწესებულებაში პაემნის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით პრობლემები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილ პატიმრებს აქვთ. აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილ პატიმრებს პრობლემები აქვთ ასევე ადვოკატთან შეხვედრის კუთხით. სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში 2014 წლის 1 იანვრიდან 22 ოქტომბრამდე განხორციელდა 493 ხანგრძლივი პაემანი.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაემნის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა.